	დადგენილების # და თარიღი
დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N13 31.05.2019
მოდიფიცირებულია	თჰუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 სექტემბრის N10 დადგენილებით. თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის N01 დადგენილებით. თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ივნისის N10 დადგენილებით.

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - თჰუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესი არეგულირებს თჰუ - სა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირებს შორის აფილირებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს და ადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის.

მუხლი 2. აფილირების განმარტება

აფილირება გულისხმობს თჰუ-სა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ თჰუ-სთან და მისი სახელით:

- მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
- ახორციელებს საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო, კვლევით და მეთოდურ საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება თჰუ-ს;
- აქტიურად არის ჩართული თჰუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან

საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

- აქტიურად არის ჩართულითჰუ-ში სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და მათი კვლევითი ან და პრაქტიკული კომპონენეტის ხელმძღვანელობის პროცესებში.

- მუხლი 3. აფილირების პირობები

3.1. აფილირებული პირის უფლება-მოვალეობები

- აფილირებული პირი ვალდებულია შეასრულოს საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო, კვლევითი და მეთოდური საქმიანობა შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
- აფილირებული პირი უფლებამოსილია არჩეულ იქნას თჰუ-ს მართვის ორგანოებში თჰუს დებულების შესაბამისად;
- აფილირებული პირი უფლებამოსილია დაიკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, თუ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით მისი დატვირთვა არ აღემატება 10 საათს;
- აფილირებული პირი უფლებამოსილია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუ მისი დატვირთვა ამ დაწესებულებაში არ აღემატება კვირაში 10 საკონტაქტო საათს;
- აფილირებული პირი ვალდებულია გააფრთხილოს უნივერსიტეტი 30 დღით ადრე მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების გადაწყვეტილების შესახებ.

3.2. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები

- უნივერსიტეტი, მასთან აფილირებული პირის მიერ აფილირების პირობების დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია გააუქმოს აფილირების შეთანხმება და დადებული აფილირების შრომითი ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტი აფილირებულ პირს დაუფინანსებს სამეცნიერო ნაშრომის (სტატია, სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) გამოქვეყნებას; ასევე დაუფინანსებს მივლინებებსა და მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვან აქტივობებში (ტრენინგი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, სამუშაო შეხვედრა და ა. შ.) მონაწილეობას, რომელიც აფილირების შინაარსიდან გამომდინარეობს;
- უნივერსიტეტი აფილირებულ პირს უპირატესობას მიანიჭებს შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას;
- უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის განსაზღვრისა და საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს უპირატესობა მიანიჭოს აფილირიებულ პირს.

3.3. აკადემიური პროგრამის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრული ვადით შესაძლებელია აფილირებულ პირთან დაწესდეს განსხვავებული აფილირების პირობები.

მუხლი 4. აფილირების შეთანხმება და შრომითი ხელშეკრულება

- აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან ფორმდება შეთანხმება (დანართი 1) და შრომითი ხელშეკრულება (დანართი 2).